ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "სელმაში" (ხარკოვი) - 1:1 (1:0)
4 ივნისი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 20 000 მაყურებელი.
მსაჯი კ. კრავჩენკო (თბილისი).
გოლები: 1-0 აფრიდონიძე (27), 1-1 გორობოვი (76).
პენალტი ვერ გაიტანა გორობოვმა (61, აცილება)

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე(კ), ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, ჯეჯელავა, გავაშელი (ბერძენიშვილი), პაიჭაძე, ბერეჟნოი, აფრიდონიძე.

"სელმაში" (ხარკოვი): ფომენკო, ზადნეპროვსკი, ბაშკარიოვი, როგოზიანსკი, კოპეიკო, ტიმჩენკო, ლუკიანენკო, გოლუბოვი, გორობოვი, გრაბარიოვი, მორგუნოვი.

გაძევება: ფომენკო (85 - უხეში თამაშისათვის)

"დინამო" (თბილისი) – "სელმაში" (ხარკოვი)

4 ივნისს, ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მეხუთე კალენდარული მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის "დინამოს" და ხარკოვის "სელმაშის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველი წუთები სტუმრების უპირატესობით მიმდინარეობს. რამდენიმე წუთის შემდეგ ის გადადის "სელმაშის" საჯარიმო მოედნისაკენ. 5 წუთის განმავლობაში მეკარე ფომენკოს მეტად საშიში ბურთების აღება მოუხდა. თბილისელთა უპირატესობა კვლავ გრძელდება, მაგრამ თავდამსხმელთა არაკოლექტიური თამაში დაწყებულ კომბინაციურ თამაშს ვერ აბოლოვებს, სუსტია კარში დარტყმა და სხვ. თბილისელებმა მხოლოდ მე-30 წუთზე შესძლეს ერთი ბურთის გატანა (ჯეჯელავას მიერ მოწოდებული ბურთი გააქვს აფრიდონიძეს).

პირველი ტაიმი მთავრდება 1:0 თბილისის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი ხარკოველთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს. თბილისელი დამცველები, ჭუმბურიძისა და ფროლოვის გამოკლებით, ძალზე სუსტად თამაშობენ. სუსტია აგრეთვე თავდამსხმელთა თამაში ჯეჯელავას გამოკლებით და სხვ. სამაგიეროდ კარგად თამაშობენ "სელმაშის" თავდამსხმელები, კერძოდ, გარემარბები _ ლუკიანენკო და მორგუნოვი.

ტაიმის 10 წუთით ადრე შავგულიძეს გააქვს ერთი ბურთი... თავისივე გუნდის კარში და თანაბრდება ანგარიში. ტაიმის ბოლო წუთებში თბილისელებმა მოწინააღმდეგის ღია კარითაც ვერ ისარგებლეს (მოედნიდან გააძევეს მეკარე). მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

სუსტად სჯიდა თამაშს მსაჯი კრავჩენკო.

"მუშა", 5 ივნისი, 1938 წ.